

რეკომენდაციები აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით

პროექტი

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. დაწესებულების მისია	2
მუხლი 1. მისიის მნიშვნელობა	2
მუხლი 2. მისიის შემუშავება.....	2
მუხლი 3. მისიასთან დაწესებულების სახელწოდების შესაბამისობა	2
თავი II. მატერიალური და ფინანსური რესურსი.....	3
მუხლი 4. მატერიალური რესურსის მნიშვნელობა	3
მუხლი 5. საკუთრების უფლება მატერიალურ რესურსზე.....	3
მუხლი 6. მატერიალური რესურსის მფლობელობა.....	3
მუხლი 7. აუცილებელი მატერიალური რესურსი	3
მუხლი 8. სწავლისა და კვლევისათვის ადეკვატური გარემო	4
მუხლი 9. ბიბლიოთეკა.....	4
მუხლი 10. საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები	4
მუხლი 11. საქმისწარმოება.....	4
მუხლი 12. ვებგვერდი	5
მუხლი 13. სამეცნიერო კვლევების დაფინანსება	5
თავი III. საგანმანათლებლო პროგრამები	5
მუხლი 14. პროგრამების შესაბამისობა მისიასთან.....	5
მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და აღწერილობა	5
მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება	6
მუხლი 17. სწავლების ენა.....	6
მუხლი 18. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი).....	6
მუხლი 19. სწავლის შედეგები.....	7
მუხლი 20. სასწავლო გეგმა.....	7
მუხლი 21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.....	7
მუხლი 22. პროგრამის კატალოგი	8
მუხლი 23. არჩევანის გამჭვირვალობა.....	9
მუხლი 24. პროგრამის შეფასების სისტემა.....	9
მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება	9
მუხლი 26. სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესები	9
თავი IV. ადამიანური რესურსი.....	10
მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები	10
მუხლი 28. აკადემიური პერსონალი	10
მუხლი 29. აკადემიური პერსონალის დაწესებულებისათვის მიკუთვნების წესი	10
მუხლი 30. მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და მკვლევრები.....	11
მუხლი 31. გარდამავალი დებულება.....	11

თავი I. დაწესებულების მისია

მუხლი 1. მისიის მნიშვნელობა

მისია წარმოაჩენს ორგანიზაციის თვითმყოფადობასა და დანიშნულებას, განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის მიმართულებებს და შეესაბამება საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს.

საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.“

მუხლი 2. მისიის შემუშავება

1. მისია ასახული უნდა იყოს დაწესებულების წესდებაში ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ სხვა დოკუმენტში. იგი უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ ან მისგან გამომდინარე საქმიანობის მიზნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. სასურველია, მისია გამჭვირვალედ შემუშავდეს საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობით. დაწესებულება უნდა ზრუნავდეს მისიის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობისა და დაინტერესებულ პირთა მიერ მისი გათავისებისათვის.

მუხლი 3. მისიასთან დაწესებულების სახელწოდების შესაბამისობა

1. დაწესებულების სახელწოდებაში არ უნდა იყოს გამოყენებული შეცდომაში შემყვანი სიტყვა დაწესებულების ან მისი საქმიანობის სახესთან დაკავშირებით.

2. დაწესებულების სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებას, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლებელია, ერთმანეთისაგან განსხვავებოდეს მისი სამართლებრივი ფორმა და სახე.

3. დაწესებულების სახელწოდებაში გეოგრაფიული ადგილის მითითება უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, გარდა ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევისა.

4. დაწესებულების სახელწოდებაში საქმიანობის მიმართულების მითითების შემთხვევაში, სავალდებულოა უპირატესად ამ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

5. დაუშვებელია ისტორიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების მითვისება.

თავი II. მატერიალური და ფინანსური რესურსი

მუხლი 4. მატერიალური რესურსის მნიშვნელობა

1. დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) ემსახურება დაწესებულების მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს.
2. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მუხლი 5. საკუთრების უფლება მატერიალურ რესურსზე

1. უძრავ ნივთებთან მიმართებით საკუთრების უფლება წარმოიშობა წერილობითი ფორმით დადებული გარიგებისა და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. შესაბამისად, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. ამონაწერში არსებული მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას.
2. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია, მხარეებს შორის არსებობდეს გარიგება და ნივთი გადავიდეს შემქმნის მფლობელობაში. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება დასტურდება შესაბამისი გარიგებით და ნივთის ფაქტობრივი ფლობის ფაქტით. დაწესებულება ვალდებულია, სათანადო წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე (წერილობითი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა, ბალანსზე ხანგრძლივი პერიოდით არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ზეპირად განხორციელებული ჩუქებისას მჩუქებლის წერილობითი დასტური და ა.შ.) დაადასტუროს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება.
3. იმ შემთხვევაში, თუ მატერიალურ რესურსს რამდენიმე მესაკუთრე ჰყავს, აუცილებელია ყველა მესაკუთრის წერილობითი თანხმობა იმის თაობაზე, რომ დაწესებულებას, როგორც თანამესაკუთრეს, აქვს ამ ნივთით საგანმანათლებლო მიზნებისათვის სარგებლობის უფლება და დაწესებულებისათვის არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა ამ ნივთით სარგებლობის შემთხვევაში.

მუხლი 6. მატერიალური რესურსის მფლობელობა

1. მფლობელობა წარმოიშობა მხარეთა შორის გარიგების დადებით და დასტურდება ამ გარიგებითა და ნივთის ფაქტობრივი ფლობის ფაქტით.
2. დაწესებულება ვალდებულია, სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე (წერილობითი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივი აქტი და ა.შ.) დაადასტუროს მოძრავ ნივთებზე მფლობელობის უფლება და, ასევე უძრავი ქონების მფლობელობისას, მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოადგინოს ამ ნივთის მესაკუთრის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
3. ხელშეკრულების საფუძველზე მფლობელობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენიდან არანაკლებ 6 წლის ვადით, 24-საათიანი სარგებლობის უფლება.

მუხლი 7. აუცილებელი მატერიალური რესურსი

1. დაწესებულებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამის საჭიროებების შესაბამისად.
2. ყველა დაწესებულებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსია: სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

მუხლი 8. სწავლისა და კვლევისათვის ადეკვატური გარემო

1. დაწესებულება ვალდებულია, გაუფრთხილდეს ინდივიდის ჯანმრთელობას და შექმნას სწავლისა და კვლევისათვის ხელსაყრელი და უსაფრთხო გარემო. ამ თვალსაზრისით, სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის სათანადოდ ჩაითვლება დაწესებულების ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც აღჭურვილია:

- ა) პროგრამის შესაბამისი ინვენტარით;
 - ბ) კარ-ფანჯრით;
 - გ) წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის გამართული სისტემით;
 - დ) განათების სისტემით მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში (შეუზღუდავი მხედველობის უზრუნველსაყოფად);
 - ე) ვენტილაციის, კონდიციონერებისა და გათბობის სისტემით (მუშაობისთვის შესაფერისი ტემპერატურის უზრუნველსაყოფად წელიწადის ნებისმიერ დროს).
2. დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე სავალდებულოა დასუფთავება, ჰიგიენისა და უსაფრთხოების აუცილებელი მოთხოვნების დაცვა, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში შენობებიდან ევაკუაციის სისტემის ამოქმედება.
3. რესურსის მოცულობა უნდა იძლეოდეს დაწესებულების სტუდენტების განთავსების შესაძლებლობას, სასწავლო პროცესის შეფერხების გარეშე.
4. თუ აუდიტორიის მოცულობის გამო სმენადობა გართულებულია, აუცილებელია ხმის გამძლიერებელი მოწყობილობით აღჭურვა, ხოლო დაფისა და პროექტორის ეკრანის შემთხვევაში, ადეკვატური ხილვადობის უზრუნველყოფა.

მუხლი 9. ბიბლიოთეკა

1. დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.
2. ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვირაში არანაკლებ 6 დღე, 46 საათი.
3. ბიბლიოთეკაში უნდა არსებობდეს კომპიუტერთა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა.
4. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს პრინტერი, ქსეროქსის ან სკანერის აპარატი, ბიბლიოთეკის შინაგანაწესით დადგენილი წესების შესაბამისად.
5. დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური პერსონალის დახმარება.
6. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ლიტერატურის ელექტრონული საძიებლის ვებგვერდზე განთავსება.
7. ბიბლიოთეკა უნდა იყოს განთავსებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სიახლოვეს ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისასვლელ გონივრულ მანძილზე.

მუხლი 10. საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები

1. დაწესებულება უნდა იყენებდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.
2. კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატური.
3. კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეუზღუდავად ან დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. საქმისწარმოება

1. დაწესებულებაში უნდა მიმდინარეობდეს აქტების, ასევე შემოსული და გასული ყველა დოკუმენტის რეგისტრაცია და აღრიცხვა. დოკუმენტების ასლები უნდა ინახებოდეს არქივში.

2. დაწესებულებაში უნდა არსებობდეს საქმისწარმოების წესი, რომელიც გავრცელდება დოკუმენტაციის ყველა სახეზე.
3. დოკუმენტები უნდა დაინომროს კალენდარული წლის ფარგლებში.
4. დაწესებულებაში უნდა ინახებოდეს კოლექციური ორგანოების (მაგალითად, საკონკურსო კომისიის) სხდომათა ოქმები, რომელთაც ხელს უნდა აწერდნენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
5. დაწესებულების აქტები და ოფიციალური წერილები უნდა გაფორმდეს ბლანკზე, რომელზეც მითითებული იქნება დაწესებულების დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

მუხლი 12. ვებგვერდი

1. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ვებგვერდი, რომელიც შეასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდის ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული და გამოიყენებოდეს ქართული უნიკოდები („სილფაენი“ ან სხვა). დაწესებულება, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც.
2. ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს: დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, წესდება, დაწესებულების სტრუქტურა, ფაკულტეტებისა და სპეციალობების ჩამონათვალი, საგანმანათლებლო პროგრამები, მონაცემები აკადემიური პერსონალის ვინაობის შესახებ, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის - აგრეთვე დაწესებულების ბიუჯეტი.
3. ვებგვერდზე მითითებული უნდა იყოს სტუდენტის ჩარიცხვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები.
4. ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს აქტუალური ინფორმაცია და აისახოს განახლების ბოლო თარიღი.
5. ვებგვერდს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის საძიებელი.

მუხლი 13. სამეცნიერო კვლევების დაფინანსება

1. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დაგეგმილი კვლევების დაფინანსებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი, რომელიც უნდა იძლეოდეს დასახული მიზნების რეალიზების შესაძლებლობას.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის შესაბამისი სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

თავი III. საგანმანათლებლო პროგრამები

მუხლი 14. პროგრამების შესაბამისობა მისიასთან

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას.

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და აღწერილობა

1. საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
 - ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (აკადემიური, პროფესიული, ძირითადი და/ან დამატებითი და ა.შ.);
 - დ) სწავლების ენა;
 - ე) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
 - ვ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
 - ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

- თ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამოუმუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე;
 - ი) სწავლის შედეგი;
 - კ) დასაქმების სფერო;
 - ლ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
2. პროგრამას თან უნდა ახლდეს:
- ა) სასწავლო გეგმა;
 - ბ) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
 - გ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირის შემთხვევაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით.
2. კერძო სამართლის იურიდიულ პირებში პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იყოს წესდებით/დებულებით განსაზღვრული წესით.
3. შესაძლებელი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თარიღის დადგენა.

მუხლი 17. სწავლების ენა

1. სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში ასევე აფხაზური. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება. აღნიშნული არ გამორიცხავს ცალკეული კურსის გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენას და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითებას.
2. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
3. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა/ენები.

მუხლი 18. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი)

1. დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დიპლომირებული სპეციალისტი“, დარგის/სპეციალობის მითითებით. ამასთან, ტერმინი „აკადემიური ხარისხი“ არ გამოიყენება.
2. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.
3. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის მითითებით.
4. სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დიპლომირებული“, შესაბამისი დარგის/სპეციალობის მითითებით.
5. მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.
6. მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი, 60-კრედიტიანი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის

საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლადაც. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

მუხლი 19. სწავლის შედეგები

1. სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. სწავლის შედეგი უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტს.
3. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, სორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება.
4. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) სწავლის შედეგები აღიწერებოდეს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

მუხლი 20. სასწავლო გეგმა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომლებშიც ხდება კრედიტების მინიჭება.
2. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:
 - ა) სახელწოდება;
 - ბ) მოცულობა კრედიტებით;
 - გ) კრედიტის მისაღებად შესასრულებელი სამუშაოს ცალკეული სახის დროში განაწილება.
3. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) შეიძლება მოიცავდეს:
 - ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;
 - ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
 - გ) სასწავლო, სამეცნიერო ან საწარმოო პრაქტიკას;
 - დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
 - ე) სასწავლო-სამეცნიერო (მაგალითად: საბაკალავრო, სამაგისტრო, სასემინარო ან სადოქტორო) ნაშრომზე მუშაობას;
 - ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას;
 - ზ) კლინიკაში მუშაობას.
4. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

მუხლი 21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული ელემენტის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა. დასკვნითი გამოცდის შეფასება არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას.
2. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა. აღნიშნულით დგინდება დასკვნით გამოცდაზე დაშვების მიზანშეწონილობა. დაწესებულება არ იზღუდება, დაადგინოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების დამატებითი პირობები, მაგალითად, გამოცდაზე დაშვების უფრო მაღალი ბარიერი. დაწესებულებას ასევე შეუძლია, ცალკეული შუალედური კომპონენტის წარმატებით დაძლევა ან სხვა პირობის დაკმაყოფილება აქციოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

3. საგანმანათლებლო პროგრამაში დგინდება ცალკეული საგნისა თუ სხვა კომპონენტის არჩევის წინაპირობები. ერთმანეთზე დამოკიდებული თუ ერთმანეთთან დაკავშირებული საგნები შესაძლებელია და სასურველია, გაერთიანდნენ მოდულში.

4. ცენტრალიზებული შეფასების სისტემა ემსახურება სახელმწიფოში ერთგვაროვანი და თავსებადი სისტემის არსებობას. დაწესებულება უფლებამოსილია, დაადგინოს განსხვავებული შეფასების სისტემა და განსაზღვროს საერთო შეფასების სისტემასთან თავისი შეფასებების მიმართება.

საქართველოში შეფასების ცენტრალური სისტემით დადგენილია ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

და ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში შესაძლებელია ზემოთ მითითებული ორივე შეფასების სისტემის გამოიყენება.

მუხლი 22. პროგრამის კატალოგი

1. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) მოიცავს, საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ზოგად ინფორმაციას (სახელწოდება, სახე, საკონტაქტო ინფორმაცია), საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობასა და შეფასების წესს.

2. კატალოგში სასურველია მიეთითოს საკონტაქტო პირის ვინაობა, რომელსაც შეუძლია, სტუდენტს გაუწიოს კონსულტაცია.

3. კატალოგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ მიზნით, იგი უნდა განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე.

მუხლი 23. არჩევანის გამჭვირვალობა

1. სასურველია, დაწესებულება სტუდენტს სთავაზობდეს კვალიფიკაციის არჩევანს. სტუდენტი თავად ქმნის საკუთარ პროფილს.
2. დასაშვებია, საბაკალავრო საფეხურზე დაწესებულებამ სტუდენტს მიანიჭოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობების დაუფლების შესაძლებლობა. დამატებითი სპეციალობის არჩევა დასაშვებია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტზე. დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს სპეციალური შეზღუდვები რეგულირებად პროგრამებთან მიმართებით.
3. ძირითადია მაპროფილებელი სპეციალობა, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ძირითადი სპეციალობის კომპონენტებს ეთმობა მინიმუმ 120 კრედიტი.
4. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში. დამატებითი სპეციალობა სასურველია მოიცავდეს 60 კრედიტს.
5. დაწესებულება ასევე უფლებამოსილია, სტუდენტს შესთავაზოს სასწავლო კომპონენტების დამატებითი კონცენტრაციები და დააფიქსიროს დიპლომის დანართში.
6. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის გამჭვირვალე წესი და უზრუნველყოს სტუდენტებისათვის მისი გაცნობა. სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამა.

მუხლი 24. პროგრამის შეფასების სისტემა

1. დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. სასურველია გამოიყენებოდეს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები.
2. დაწესებულების ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგად უნდა შეიმუშავებდეს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ამ პროგრამის სტუდენტებისათვის ისეთი სხვა საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რომელშიც შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება.
2. თუ დაწესებულებაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე დაწესებულება ვალდებულია, სხვა დაწესებულებასთან გააფორმოს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 26. სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესები

1. დაწესებულებაში უნდა მოქმედებდეს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი. წესი (წესები) დაწესებულებას დამტკიცებული უნდა ჰქონდეს შიდასამართლებრივი აქტით, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს დაწესებულებიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

თავი IV. ადამიანური რესურსი

მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის არსებობა, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი.
2. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს: ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

მუხლი 28. აკადემიური პერსონალი

1. დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორებისაგან.
2. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
3. კონკურსი გამჭვირვალეა, თუ ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის. საზოგადოებისთვის კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით. გამოქვეყნებად არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის მხოლოდ ვებგვერდზე განთავსება.
4. კონკურსი თანასწორია, თუ გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა კონკურსანტი იმყოფება თანაბარ პირობებში.
5. კონკურენცია სამართლიანია, თუ გამოყენებულია შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.
6. კონკურსის ჩატარების წესს სსიპ - დაწესებულებაში ადგენს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, ხოლო სხვა დაწესებულებაში წესდებით ან სხვა შესაბამისი აქტით განსაზღვრული ორგანო.
7. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ კონკურსი უნდა ჩაატაროს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შემდეგი ეტაპებისა და ვადების დაცვით:
 - ა. ქვეყნდება კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები;
 - ბ. გამოქვეყნებიდან არანაკლებ ერთი თვის შემდეგ იწყება საბუთების მიღება;
 - გ. საბუთების მიღება მიმდინარეობს არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირის განმავლობაში;
 - დ. საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უმეტეს 2 თვის ვადაში ტარდება კონკურსი.

მუხლი 29. აკადემიური პერსონალის დაწესებულებისათვის მიკუთვნების წესი

1. ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, პროფესორის არჩევით. იგივე პიროვნება სხვა დაწესებულებას, თუნდაც სხვა აკადემიურ თანამდებობაზე, არ ჩაეთვლება აკადემიური პერსონალის რაოდენობაში.
2. სრული პროფესორი, რომელიც აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულია უნივერსიტეტში, შეიძლება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიწვეული იყოს აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

3. სრული პროფესორი შეიძლება ერთდროულად ჩაეთვალოს ორ სასწავლო უნივერსიტეტს ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით.

4. ასოცირებული პროფესორი აკადემიური პერსონალის რაოდენობაში ჩაეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას, დაწესებულების სახის მიუხედავად, პროფესორის არჩევით.

მუხლი 30. მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და მკვლევრები

1. საგანმანათლებლო პროგრამა, აკადემიური პერსონალის გარდა, შეიძლება განახორციელონ აგრეთვე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებმა, მკვლევრებმა ან მოწვეულმა სპეციალისტებმა, თუმცა პროგრამის განხორციელება დაუშვებელია მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრის ან მასწავლებლის მიერ.

2. ინსტიტუციური აკრედიტაციის ადამიანური რესურსების სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადასტურება.

3. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. მასწავლებელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობა არ უკავია. იგი უფლებამოსილია, გაუძღვეს სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, ასევე პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს.

4. დაწესებულება უფლებამოსილია, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის მისაღებად. სპეციალისტის მოწვევის პირობები განსაზღვრული უნდა იყოს დაწესებულების წესდებით ან უფლებამოსილი ორგანოს სხვა აქტით.

5. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროცესში შეიძლება ჩართული იყოს მკვლევარი - პირი, რომელიც დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესისგან დამოუკიდებლად აწარმოებს კვლევით საქმიანობას.

6. აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევრებთან ან მასწავლებლებთან უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 31. გარდამავალი დებულება

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გამართული საჯარო კონსულტაციებით დადგინდა, რომ ამ რეკომენდაციების XXXX მუხლები ამოქმედდება 2011, ხოლო XXXX მუხლები 2012 წლიდან.